სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

დავით აღმაშენებლის გამზირი №150
0112 თბილისი, საქართველო
+995 32 2439503 / +995 32 2439510
info@nea.gov.ge
nea.gov.ge

11 იანვარი 2024

N 21/125

შპს „მაქრო ქონსთრაქშენს“

მის: ქ. თბილისი, ფანჯიკიძის ქ. N22

ელ. ფოსტა: tiko_zhizhiashvili@yahoo.com

ასლი: სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი 2023 წლის 25 დეკემბრის N12770 სკოპინგის განცხადება, რომელიც ეხება საგარეჯოს მუნიციპალიტეტში, სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეშის) ღია კარიერული წესით მოპოვებას.

გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არ არის მოცემული და დაზუსტებას საჭიროებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- დაზუსტებას საჭიროებს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ფართობები, კერძოდ: სკოპინგის ანგარიშში მითითებულია, რომ წიაღისეული მოპოვება დაგეგმილი ორ უბანზე, საიდანაც პირველი უბნის ფართობია **83 484 მ²**, მეორე უბნის - **250 010 მ²**. წარმოდგენილი Shp ფაილების მიხედვით, პირველი უბნის ფართობია **83 436 მ²**, მეორე უბნის - **235 617 მ²**;
- დასაზუსტებელია წიაღისეულის მოპოვების უბნებიდან მანძილები უახლოეს საცხოვრებელ სახლებამდე, კერძოდ: სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, ლიცენზირებული ტერიტორიის პირველი უბნიდან უახლოესი მოსახლე დაშორებულია 1479 მეტრით, მეორე უბნიდან - 922 მეტრით, თუმცა Shp ფაილების ელექტრონული გადამოწმებით დგინდება, რომ პირველი უბნიდან უახლოესი მოსახლე დაშორებულია 983 მეტრით, ხოლო მეორე უბნიდან - 630 მეტრით.

სააგენტო სკოპინგის დასკვნის გაცემის მიზნით, ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს ზემოაღნიშნული საკითხების გათვალისწინებით, განახლებული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ.

ვასილ გედევანიშვილი

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო